ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 490

"29" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის" (დანართი 3) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.43.1484 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზება, განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 100%- იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის - შპს „თბილსერვის ჯგუფის" (ს/კ №206267494) მეშვეობით, შემდეგი სამუშაოების მოცულობით:

ა) ორგანიზება გაუკეთოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩების, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავებას; მოსახლეობის, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური

მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსებას და გაუვნებლობას; ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრას, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) განახორციელოს ქ. თბილისის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება, მონაცემთა ბაზების დროული განახლება (მომხმარებელთა გადამხდელად დარეგისტრირება, არსებულ დარიცხვაში კორექტირების შეტანა, დარიცხვის შეწყვეტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად) და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართვის შემთხვევაში, მოახდინოს მოსაკრებლის გადამხდელთათვის დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და ასახოს მონაცემთა ბაზაში;

გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების ამოქმედების დღიდან განუწილვადოს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ (დანართი 1) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ პირებს დადგენილი ვადით;

დ) დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განუწილვადოს ქ. თბილისის მოსახლეობისთვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანება არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა;

ე) უზუსტობის შემთხვევაში განსაზღვროს დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების თანხაში

დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის (საფასურის) დაზუსტებული ოდენობა დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

2. დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასურის) დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდეს შპს ,,თბილსერვის ჯგუფის" ანგარიშზე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**